

ევროპული გამოცდილება ადგილობრივი სამოქმედო  
ჯგუფებისა (LAG) და CSO-ების რეგიონულ  
განვითარებაში მონაწილეობის შესახებ

ავსტრიის, ჩეხეთის რესპუბლიკისა და ლატვიის  
გამოცდილება

6/5/2018



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



კვლევის ანგარიში: „ევროპული გამოცდილება ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფებისა (LAG) და CSO-ების რეგიონულ განვითარებაში მონაწილეობის შესახებ“ შემუშავებულია პროექტის ფარგლებში: „რეგიონების მხარდაჭერა მდგრადი განვითარებისთვის“ (ARSD). ARSD ორწლიანი პროექტია, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მიმდინარეობს 2017 წლის 2 ოქტომბრიდან.

პროექტი ხორციელდება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან: ფიფლ ინ ნიდ (PIN) და დემოკრატიის ინსტიტუტთან (IOD) თანამშრომლობით.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან კვლევის ავტორები და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.



# სარჩევი

აბრევიატურები.....	3
რეზუმე.....	4
მეთოდოლოგია .....	6
შესავალი.....	7
რეგიონული პოლიტიკის შემუშავება.....	7
CSO-ების როლი და ფუნქციები .....	8
LEADER პროგრამების ევოლუცია.....	9
ავსტრიის გამოცდილება.....	11
რეგიონული პოლიტიკა .....	11
LEADER პროგრამები.....	11
CSO სექტორი.....	15
ჩეხეთის გამოცდილება.....	16
რეგიონული პოლიტიკა .....	16
LEADER პროგრამები .....	17
CSO სექტორი.....	20
ლატვიის გამოცდილება.....	21
რეგიონული პოლიტიკა .....	21
LEADER პროგრამები.....	21
CSO სექტორი.....	24
რეკომენდაციები .....	26
დანართი 1: სახელმძღვანელო კითხვები სკაიპ ინტერვიუსთვის .....	28
დანართი 2: ინტერვიუების სია.....	30
დანართი 3: წყაროები.....	31

## აბრევიატურები

ARSD – რეგიონების მხარდაჭერა მდგრადი განვითარებისთვის

BMNT – Bundesministerium für Nachhaltigkeit und Tourismus (გერმანულიდან “მდგრადი განვითარების და ტურიზმის ფედერალური სამინისტრო”)

CAP – საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა

CSO – სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია

ELARD – ევროპის LEADER-ის ასოციაცია სოფლის განვითარებისთვის

EU – ევროკავშირი

LAG – ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი

LDS – ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

LEADER – Liaison Entre Actions de Développement de l'Economie Rurale (ფრანგულიდან “ევროკავშირის სოფლის განვითარების ინიციატივა”)

ÖROK - Österreichische Raumordnungskonferenz (გერმანულიდან “ავსტრიის კონფერენცია სივრცითი დაგეგმარების შესახებ”)

PiN – People in Need (ინგლისურიდან “ადამიანი გაჭირვებაში”)

RDP – სოფლის განვითარების პროგრამა

ToR – Terms of Reference (ინგლისურიდან “სამუშაოს აღწერილობა”)

## რეზუმე

ყაზბეგის, ლაგოდეხისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში 2015 წელს დაფუძნებული ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები (LAG) წარმოადგენს სიახლეს ქართულ რეალობაში. იმის პარალელურად, რომ საპილოტე პროექტი გაფართოვდა და მოიცვა 5 ახალი მუნიციპალიტეტი, LAG-ები აწყდებიან მრავალ გამოწვევას სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიან აქტორებად თავის დამკვიდრების პროცესში. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განიხილოს ავსტრიის, ჩეხეთისა და ლატვიის მიერ აღნიშნულ პროცესში განვლილი გზა და შეისწავლოს გამოცდილება, რომელიც შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს საქართველოში მოღვაწე LAG-ებისთვის. ანგარიშში, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ევროკავშირის სამი წევრი ქვეყნის რეგიონული პოლიტიკის განვითარების პროცესზე, წარმოვადგენთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მთავრობას შორის თანამშრომლობის მაგალითებს და განვიხილავთ LEADER პროგრამებისა და LAG-ების ევოლუციას.

კვლევის ანგარიში მომზადებულია GeoWel-ის მიერ ორგანიზაციისთვის “ადამიანი გაჭირვებაში“ (PiN) პროექტის - „რეგიონების მხარდაჭერა მდგრადი განვითარებისთვის“ (ARSD) ფარგლებში. გამოყენებული მეთოდოლოგია დიდწილად ეფუძნება სამაგიდე კვლევას, როგორც მითითებულია სამუშაოს აღწერილობაში (Terms of Reference). საწყის ეტაპზე, ჩვენ გავსაუბრეთ PiN-ის პროექტის პერსონალს, რათა ნათლად დაგვედგინა კვლევის პროექტის ამოცანები, ასევე მიგველო საკონტაქტო ინფორმაცია სამ სამიზნე ქვეყანაში მოღვაწე ექსპრტებისა და LAG-ის წევრების შესახებ. ეს ქვეყნებია: ავსტრია, ჩეხეთი და ლატვია. მეორე ეტაპი მოიცავდა ავსტრიაში, ჩეხეთსა და ლატვიაში LEADER მიდგომის, ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების (LAG-ების), ეროვნული კანონმდებლობის, რეგიონული განვითარების პოლიტიკისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლის შესახებ არსებული მონაცემების სამაგიდე კვლევას. ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდა აკადემიური სტატიები, LAG ვებსაიტებზე განთავსებული მონაცემები, ევროკავშირისა და ადგილობრივი მთავრობის საიტები, ეროვნული კანონები და სტრატეგიის დოკუმენტები.

ჩვენ დავადგინეთ, რომ საკვლევ ქვეყნებში CSO-ებს აქვთ განსხვავებული როლი და პოლიტიკაზე ზეგავლენის ბერკეტები, მათ შორის რეგიონალურ პოლიტიკაზე ზეგავლენის კუთხით. ავსტრიაში, CSO-ების რაოდენობა მაღალია. ისინი ძირითადად დაკავებული არიან ე.წ. „კეთილდღეობის სერვისების“ მიწოდებით ისეთ სექტორებში, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება. ავსტრია გამოირჩევა სამთავრობო სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისა და სინერჯის ძლიერი ტრადიციით. ვინაიდან კეთილდღეობის სერვისებზე მთავრობის მიერ გაწეული ხარჯები სოლიდურია, საჭიროა კოორდინაციის მაღალი ხარისხი. მთავრობა ასევე წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ძირითად დონორს სხვადასხვა სახის კეთილდღეობის სერვისების კუთხით. საპირისპირო სიტუაციაა ჩეხეთის რესპუბლიკასა და ლატვიაში, სადაც CSO-ებს აქვთ უნდობლობა ხელისუფლების მიმართ კომუნისტური წარსულის გამო. აღნიშნულ ქვეყნებში, CSO-ები არ არიან დაკავებული კეთილდღეობის სერვისების მიწოდებით იმდენად, რამდენადაც საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა ინტერესების გაჟღერებით. ამ ქვეყნებში, CSO-ები უფრო მეტად არიან ჩართული ადვოკატირების ტიპის საქმიანობაში. ავსტრიასთან შედარებით, CSO-ების მთავრობასთან კოორდინაცია ყველა დონეზე მეტად შეზღუდულია. კერძოდ, ლატვიაში CSO-ების გავლენა რეგიონულ პოლიტიკაზე უფრო შეზღუდულია, ვიდრე ევროკავშირის სხვა

ქვეყნებში. არსებობს თანამშრომლობის სამი პლატფორმა: რეგიონული განვითარების ეროვნული საბჭო, რეგიონული განვითარების დაგეგმარების საბჭო და რეგიონული თანამშრომლობის დაგეგმარების კომიტეტი. სამივე საბჭოს ფარგლებში წარმოდგენილი არიან მხოლოდ სამინისტროები, ე.წ. დაგეგმარების რეგიონული წარმომადგენლები და ადგილობრივი მთავრობები, მაგრამ არა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მაშინ როცა LAG-ების როლი ძლიერია სამივე ქვეყანაში, რეგულაციები საკმაოდ განსხვავებულია. ხსენებული სამი ქვეყნიდან, ავსტრიას აქვს LEADER პროგრამებისა და LAG-ების კუთხით ყველაზე გრძელი ისტორია, შემდგომ რა LEADER კონცეფციის წარმატებით დანერგვა (მეინსტრუმინგი). ჩეხეთის რესპუბლიკაში, LAG-ების მიერ შემუშავებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიები (LDS) წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელსაც რეგიონული და ცენტრალური მთავრობა იყენებს რესურსების გადანაწილების დროს. გარდა იმისა, რომ რეგიონების სტრატეგიები ეფუძნება ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებს, არსებობს გეგმები, რომელთა მიხედვითაც ეროვნული რეგიონული განვითარების სტრატეგია ასევე უნდა დაეფუძნოს LDS-ს. ამის საპირისპიროდ, ლატვიაში LAG-ებისა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების (LDS) როლი ნათლად არ არის აღიარებული კანონმდებლობით. ამრიგად, მაშინ როცა LAG-ების როლი მნიშვნელოვანია რეგიონებისთვის პრიორიტეტების დასახვის პროცესში, მათი სტატუსი საჭიროებს მეტი სიცხადის შეტანას.

სამივე ქვეყნის გამოცდილებიდან საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გაკვეთილია ის, რომ LAG-ების ეროვნული ქსელი ინსტრუმენტულ როლს ატარებს LAG-ების ინტერესების ცენტრალურ და საერთაშორისო დონეზე წარმოჩენის კუთხით. ხშირად საჭიროა ფართო კავშირების მქონე პროფესიონალი ლობისტების დაქირავება, რათა დღის წესრიგში დადგეს LAG-ების საკითხები და გაიზარდოს მათი როლი და მოვალეობები. რეგიონების უმრავლესობაში, LAG-ები იმდენად გამლიერდნენ, რომ ისინი ფაქტობრივად იქცნენ ყველაზე მსხვილ და მძლავრ CSO-ებად რეგიონში. საქართველოსთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილია ის, რომ სამივე ქვეყანაში მუნიციპალიტეტები აქტიურად არიან ჩართული LAG - ებთან მუშაობაში.

LEADER მიდგომის გავლენის შეფასებისას, უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ქვეყანაში LAG-ების საქმიანობა ძალზედ პროდუქტიული იყო ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) შემუშავების კუთხით. მაშინ როცა ავსტრიასა და ჩეხეთის რესპუბლიკაში იგი უფრო სტრუქტურირებულია, ლატვია საჭიროებს მეტ განმარტებებს კანონმდებლობაში. თუმცა, არსებობს საკმარისი მტკიცებულება, რომ სამივე ქვეყანაში LDS წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ეხმარება რეგიონულ და ცენტრალურ ხელისუფლებას უკეთ გაიგოს ადგილობრივი პრიორიტეტები. LEADER მიდგომამ ასევე ხელი შეუწყო დაინტერესებულ მხარეთა შორის კავშირების დამყარებას არა მარტო ადგილობრივ, არამედ ეროვნულ დონეზე LAG-ების ქსელების ფორმირების გზით, რომელიც ლოკომოტივის ფუნქციას ასრულებს LEADER მიდგომის პოპულარიზაციის კუთხით და ამავდროულად ხელს უწყობს კავშირების დამყარებას დაინტერესებულ CSO-ებს შორის. LAG-ები ახორციელებენ რიგ პროექტებს ადგილობრივ დონეზე, ინფრასტრუქტურული პროექტებიდან დაწყებული მარკეტინგული მიზნებისთვის რეგიონის ბრენდინგით დამთავრებული, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. ქვემოდან-ზემოთ მიმართული მიდგომების

გამოყენებით, LAG პროექტები ასევე ხელს უწყობს ადგილობრივ თემებსა და მთავრობას შორის ორმხრივ კომუნიკაციას.

## მეთოდოლოგია

პროექტის ძირითადი მიზანია მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონული/სოფლის განვითარების სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერებას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა აღნიშნული მიმართულებით ავსტრიის, ჩეხეთისა და ლატვიის გამოცდილებაზე. თავდაპირველი კვლევა 2018 წლის 3 აპრილიდან 8 მაისამდე გაგრძელდა. PiN-იდან მიღებული კომენტარების საფუძველზე, ანგარიში განახლდა 2018 წლის მაისის ბოლოს.

მეთოდოლოგია დიდწილად ეფუძნება სამაგიდე კვლევას, როგორც მითითებულია სამუშაოს აღწერილობაში. პროექტის ამოცანების გათვალისწინებით, ჩვენ დავყავით კვლევის პროცესი სამ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავდა პროექტის პერსონალისგან პროექტთან დაკავშირებული დეტალებისა და დოკუმენტების მოპოვებას. ამან საშუალება მოგვცა სიღრმისეულად გაგვეაზრებინა პროექტის ამოცანები. პროექტის თანამშრომლებმა ასევე მოგვაწოდეს ავსტრიის, ჩეხეთის რესპუბლიკისა და ლატვიის ექსპერტების საკონტაქტო მონაცემები, რათა მათ გავსაუბრებოდით სკაიპის საშუალებით.

კვლევის მეორე ეტაპზე, ჩვენ შევისწავლეთ საერთაშორისო პრაქტიკა. ყურადღება განსაკუთრებით გავამახვილეთ ავსტრიის, ჩეხეთის რესპუბლიკის და ლატვიის გამოცდილებაზე. ჩვენ მოვიძიეთ პუბლიკაციები ევროკავშირის ვებსაიტზე, ასევე აკადემიური სტატიები რეცენზირებად ჟურნალებში, რაც დაგვეხმარა მოგვეხდინა LEADER და LAG იდეის კონტექსტუალიზაცია. ეს ეტაპი დაგვეხმარა ჩაგვეტარებინა პროდუქტიული ინტერვიუ სამივე ქვეყნის ექსპერტებთან და LAG წევრებთან.

მესამე ეტაპზე იყო ინტერვიუები ექსპერტებთან და LAG-ის წევრებთან, ასევე ექსპერტებთან ავსტრიიდან, ჩეხეთიდან და ლატვიიდან. მოკლე პერიოდში სკაიპით ინტერვიუების ჩატარება დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან ლოჯისტიკურ სირთულეებთან. 10 მცდელობიდან, ჩვენ მოვახერხეთ ინტერვიუს ჩატარება 6 პირთან. მათ მოგვაწოდეს ღირებული ინფორმაცია და იდეები რეკომენდაციების შესამუშავებლად. ჩვენ გავეცანით მათ რეალობაში LAG-ების გამოცდილებას, სტრუქტურას, საკომუნიკაციო სტრატეგიას, CSO-ების/კერძო სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინტეგრირების სტრატეგიებს, დაფინანსების საკითხებს, თუ როგორ ახდენს ეროვნული ქსელები სამინისტროს დონეზე საკითხების ლობირებას, როგორია LAG-ების გავლენა, რა გამოწვევებს აწყდებიან ისინი ამჟამად, რა არის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის როლი (LDS).

# შესავალი

## რეგიონული პოლიტიკის შემუშავება

რეგიონული პოლიტიკა, ფართო გაგებით, არის „მთავრობის სტრატეგიული საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც ფოკუსირებულია რეგიონებზე, მცირე დასახლებებსა და ქალაქებზე, რათა წახალისოს ეკონომიკური ზრდა და უზრუნველყოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება“ (ევროპის სტრატეგია 2020). ეფექტური რეგიონული პოლიტიკა მიზნად ისახავს ნაკლებად განვითარებული რეგიონების მხარდაჭერას, რათა ისინი დაეწიონ მეტად განვითარებულ რეგიონებს. რეგიონების გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, „რეგიონული პოლიტიკა არის სივრცითი განზომილება, თუ როგორ ახდენს ქვეყანა მისი ინვესტიციებისა და ქმედებების პრიორიტეტიზაციას, მიმართვასა და ფოკუსირებას“ (ევროპის სტრატეგია 2020). ევროკავშირის დონეზე, რეგიონული პოლიტიკის საფუძველი და ძირითადი პრინციპია ერთობა (cohesion): ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული. ეკონომიკური და სოციალური ერთობა გულისხმობს „რეგიონების ეკონომიკებში კონკურენტუნარიანობისა და მწვანე ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობას, მოსახლეობისთვის უკეთესი მომსახურების მიწოდებას, მეტი სამუშაო ადგილის შექმნას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას“ (ინტერვიუ მარკ ბარეტთან), ხოლო ტერიტორიული ერთობა გულისხმობს რეგიონების ერთმანეთთან დაკავშირებას, რათა მათ მოახდინონ თავიანთი ძლიერი მხარეების კონსოლიდაცია და ერთობლივი ძალისხმევით საერთო გამოწვევების მოგვარება (როგორცაა, მაგალითად, კლიმატის ცვლილება), რაც, თავისთავად, სარგებელს მოუტანს და გააძლიერებს ევროკავშირს (ინტერვიუ მარკ ბარეტთან).

რეგიონული პოლიტიკის შემუშავების პროცესის რეგულირების მიზნით, ევროკავშირი ხელმძღვანელობს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის ზოგადი პრინციპებით, რომლებიც გაწერილია ეფექტური რეგულირების სახელმძღვანელო პრინციპებში. იგი უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების, მათ შორის CSO-ების მონაწილეობას და ეფუძნება ოთხ პრინციპს: 1) **მონაწილეობა**, რაც გულისხმობს ინკლუზიური მიდგომის გამოყენებას და კონსულტირებას რაც შეიძლება ფართოდ; 2) **ღიაობა და ანგარიშვალდებულება**, რაც მოითხოვს საკონსულტაციო პროცესის გამჭვირვალობას; 3) **ეფექტურობა**, რაც გულისხმობს ჩართულობას „იმ დროს, როცა დაინტერესებული მხარის შეხედულებებმა შესაძლოა ჯერ კიდევ იქონიოს გავლენა“; 4) **თანმიმდევრულობა**, რაც ითვალისწინებს საკონსულტაციო პროცესების თანმიმდევრულობას (ევროკავშირი, დაუთარილებელი). ეროვნულ დონეზე, აღნიშნული პრინციპების გამოყენება განსხვავებულად ხდება, რადგან განსხვავებულია რეგიონული პოლიტიკის შემუშავების კონტექსტი, ასევე განსხვავდება CSO-ების როლი და მოვალეობები ქვეყნების მიხედვით. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, თუ რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან CSO-ები ავსტრიაში, ჩეხეთსა და ლატვიაში. ეს საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, თუ რა გავლენას ახდენენ ისინი შესაბამის ქვეყანაში რეგიონული პოლიტიკის შემუშავების პროცესზე.



## CSO-ების როლი და ფუნქციები

ზოგადად, ფუნქციის მიხედვით, CSO-ები შესაძლებელია დავეყოს სამ კატეგორიად:

- **მომსახურების მიწოდება:** “CSO-ები აწვდიან პროდუქტებს, რომლებზეც შესაძლებელია ფასის დადება და გარკვეული საფასურის გადახდა - ან თავად ბენეფიციარების მიერ ან სხვა კერძო თუ საჯარო ორგანიზაციის მიერ” (Neumayr et al., 2009: 6).
- **ადვოკატირება:** „CSO-ებს წვლილი შეაქვთ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და მმართველობაში, ამგვარად, კოლექტიურად სავალდებულო წესების მიღებაში. არსებობს აღნიშნული ფუნქციის შესრულების სხვადასხვა გზა, დაწყებული საკანონმდებლო და აღმასრულებელ პროცესებში ფორმალური მონაწილეობიდან, არაფორმალურ ლობირებამდე და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ პიარ კამპანიებამდე“. (Neumayr et al., 2009: 7).
- **სათემო სამუშაო** - სოციალური კაპიტალის შექმნა, ანუ ფიზიკურ პირებს ან/და ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების დამყარება და კონსოლიდაცია. ეს ზოგადად გულისხმობს ჯგუფების გაძლიერებას ან სოციალური ინკლუზიისა და ინტეგრაციის ხელშეწყობას. ამგვარად, ეს ფუნქცია მოიცავს ყველა იმ აქტივობას, რომელსაც მოაქვს ერთიანობის განცდა და უზრუნველყოფს პირების გაერთიანებას - ცალკეულ საკითხებზე ან საერთო ლოკაციის მიხედვით (Neumayr et al., 2009: 7)

დასავლეთ ევროპის მაღალშემოსავლიან ქვეყნებში, მათ შორის ავსტრიაში, CSO-ები, ჩვეულებრივ, უზრუნველყოფენ ე.წ. „კეთილდღეობის სერვისების მიწოდებას“ ისეთ სფეროებში, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება. ამისგან განსხვავებით, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, რეკრეაცია და კულტურა ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს CSO-ების საქმიანობაში (Salamon et al., 2000). CSO-ების შემოსავლის წყაროებიც განსხვავდება. ავსტრიაში, შემოსავლების 50% მოდის მთავრობიდან. შემოსავლის კიდევ ერთი ძირითადი წყაროა მოსაკრებლები, ხოლო ფილანტროპიის წილი უმნიშვნელოა. ფილანტროპიის წილი უფრო მაღალია ჩეხეთში (14%), შემოსავლების ძირითადი წყაროა მოსაკრებლები (47%); მთავრობიდან მოდის შემოსავლების მხოლოდ 39% (სალამონი და სხვ., 2000). მართალია სალამონი და სხვ. არ გამოყოფენ ლატვიას 22 ქვეყნის ანალიზში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელებული პრაქტიკა ერთმანეთის მსგავსია.

იმისთვის, რომ შევძლოთ ქვეყნების ერთმანეთთან შედარება, სალამონი და სხვები (2000) გვთავაზობენ „არასამთავრობო რეჟიმების“ კლასიფიკაციას. კლასიფიკაცია ეფუძნება ორ ცვლადს: მთავრობის ხარჯი სოციალურ კეთილდღეობაზე, გამოხატული მშპ-ის პროცენტული მაჩვენებლის სახით (ანუ, თუ რამდენად მაღალია ან დაბალია) და არასამთავრობო სექტორის სიდიდე, შეფასებული „მესამე სექტორში“ მომუშავე თანამშრომლების რაოდენობის მიხედვით. მაგალითად, შეერთებულ შტატებს ჰყავს „მცირე მთავრობა“, მაგრამ მსხვილი სამოქალაქო სექტორი და ამგვარად, განეკუთვნება „ლიბერალური CSO რეჟიმის“ კატეგორიას. ავსტრია სოციალურ მომსახურებებზე მნიშვნელოვან ფულს ხარჯავს და ამავდროულად აქვს მძლავრი CSO სექტორი. შედეგად, იგი განეკუთვნება „სოციალურ დემოკრატიულ CSO რეჟიმს“.

ცხრილი 1: არაკომერციული რეჟიმის მოდელები და შესაბამისი ქვეყნები

მთავრობის ხარჯი სოციალურ კეთილდღეობაზე	არასამთავრობოების რაოდენობა	
	დაბალი	მაღალი
დაბალი	სტატისტიკური (მექსიკა, რუმინეთი)	ლიბერალური (აშშ, ავსტრალია)
მაღალი	სოციალურ დემოკრატიული (ფინეთი, ავსტრია)	კორპორატიული (ნიდერლანდები, ბელგია)

წყარო: Salamon, L. M., Sokolowski, S. W. & Anheier, H. K. (2000) სამოქალაქო საზოგადოების სოციალური საწყისები: მიმოხილვა. Working Papers of the Johns Hopkins Comparative Nonprofit Sector Project. Baltimore, The Johns Hopkins Center for Civil Society Studies

ჩეხეთის რესპუბლიკა არის ზღვარზე სტატისტიკურ და სოციალურ დემოკრატიულ რეჟიმებს შორის, რადგან მთავრობის მიერ სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯი საკმაოდ მაღალია, მაგრამ ამავედროულად არასამთავრობო სექტორში დასაქმების დონე საშუალოა. მიუხედავად იმისა, რომ ლატვია არ შედიოდა სალამონის მიერ შესწავლილი ქვეყნების სიაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობის მსგავსად, აქ საკმაოდ მაღალია მთავრობის მიერ სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯების წილი, გამოხატული მშპ-ის პროცენტული მაჩვენებლის სახით, ხოლო CSO-ების რაოდენობა შედარებით მცირეა. ჩეხეთის რესპუბლიკისა და ლატვიის მსგავს ქვეყნებში, CSO-ებს აქვთ განათლების, ჯანდაცვისა თუ სოციალურ სექტორში „კეთილდღეობის“ მომსახურების გაწევის მცირე შესაძლებლობა. თუმცა, CSO-ები წარმოადგენენ ინსტრუმენტს „პოლიტიკური, სოციალური ან თუნდაც რეკრეაციული ინტერესების გამოსახატად“. (სალამონი და სხვ., 2000)

LEADER პროგრამები ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. თუმცა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და რეგიონები დგანან სხვადასხვა სახის გამოწვევების წინაშე. ამიტომ, ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, LEADER პროგრამები მცირედით განსხვავებულია თითოეულ ქვეყანაში.

### **LEADER პროგრამების ევოლუცია**

LEADER პროგრამები გამოჩნდა ევროკავშირში 1990-იანი წლებში. ისინი მიზნად ისახავდა სოფლად ქვემოდან-ზემოთ მიმართული პოლიტიკის წახალისებას, რადგან ნათლად გამოჩნდა, რომ საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის (CAP) ფარგლებში ტრადიციული ზემოდან-ქვემოთ მიმართული მიდგომის გამოყენებას არ მოჰქონდა სასურველი შედეგი.

„LEADER პროგრამა“ განიხილავდა ადგილობრივ მოსახლეობას სასოფლო რეგიონების ძირითად აქტივად. LEADER პროექტების განმასხვავებელი მახასიათებელი იყო ის, რომ ისინი ფოკუსირებას ახდენდა სოფლად მცხოვრებ ადამიანებზე და მათ შესაძლებლობაზე

განესაზღვრათ, თუ რა მიესადაგებოდა ყველაზე უკეთ მათ გარემოს, კულტურას, სამუშაო ტრადიციებსა და უნარებს“ (Shortall და Shucksmith, 1998: 78)

1991 წლიდან, ევროკავშირმა მოახდინა პროგრამების რამდენიმე ტალღის პილოტირება და თანდათანობით გააფართოვა არეალი, ბიუჯეტი და გავლენა. LEADER I-მა და II-მა გამოიწვია დიდი ენთუზიაზმი, „შემოიტანა რა ქვემოდან-ზემოთ მიმართული მიდგომა ბიუროკრატებისა და პოლიტიკოსების გონებაში და ევროპის სოფლის განვითარების ყოველდღიურ პრაქტიკაში“ (Nemes, 2005: 27). მან ასევე გადამწყვეტი როლი ითამაშა რეგიონების ტრანსნაციონალური ქსელის ჩამოყალიბებაში, რომელიც ეფექტურად ლობირებდა სოფლის განვითარების საკითხებს, განსაკუთრებული აქცენტით ნაკლებად განვითარებულ რეგიონებზე.

სურათი 2: სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპული ფონდის მიერ 2007-2013 სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფუნდებული 2,301 ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის რუკა.



წყარო: ევროკავშირის პუბლიკაციები (2012), ბმულზე: <https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/d186a784-30e6-43ed-baa6-30ca4f3ba5b8/language-en> (ამოღებული 2018 წლის 7 მაისს).

როგორც ზემოთ მოცემული რუკიდან ჩანს, უკვე 2012 წლისთვის, LAG-ებმა მოიცილა ევროკავშირის სასოფლო რეგიონების უმრავლესობა. ფინანსური წარმატების მიღწევის გარდა,

LEADER მიდგომამ უზრუნველყო ადგილობრივი საზოგადოებისა და ეკონომიკის რესტრუქტურისაცა პრობლემების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის გზით“ (Nemes, 2005: 26). ამგვარად, ის იქცა ინკლუზიური, ქვემოდან-ზემოთ მიმართული სოფლის განვითარებას მძლავრ ინსტრუმენტად.

ყველა LAG-ი არ არის ერთნაირად წარმატებული. გასათვალისწინებელია სხვადასხვა ფაქტორები, როგორცაა ეროვნული კანონმდებლობა, სოფლის განვითარების კონტექსტი, გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობები. თუმცა, ამ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია სამოქალაქო საზოგადოების როლზე LAG-ების განვითარების პროცესში. ევროპის გამოცდილებამ აჩვენა, რომ როდესაც სოციალური კაპიტალი ძლიერია, LAG-ებს აქვთ მეტი შანსი იქცნენ სოფლის განვითარების ქეშმარიტ მამოძრავებელ ძალად (Buller, 2000). საჯარო დაფინანსების სხვა ზომებისგან განსხვავებით, LEADER მიდგომა აღიარებს სოციალური კაპიტალის როლს და ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივ დონეზე მისი პოტენციალის გაფართოებასა და გამოყენებაზე (Krieviņa et al, 2015).

რეგიონები ხასიათდება საკმაოდ ძლიერი სოციალური კაპიტალით. აქედან გამომდინარე, სახეზე გვაქვს მყარი ფუნდამენტი LEADER LAG-ებისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანია ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, თუ როგორ შეძლეს LAG-ებმა ძლიერ სამოქალაქო აქტორებად თავის დამკვიდრება. საჭიროა შესაბამისი დასკვნების გაკეთება საქართველოს კონტექსტისთვის.

## ავსტრიის გამოცდილება

### *რეგიონული პოლიტიკა*

კვლევაში მონაწილე სხვა ქვეყნებთან შედარებით, ავსტრიაში რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანია. როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი პატარა, მაგრამ ყველაზე განვითარებული ქვეყანა, ავსტრია არ განიცდის რეგიონებს შორის უთანასწორობას. ამიტომ, აქცენტი მეტად გაკეთებულია ქვეყნის მასშტაბით კონკურენტუნარიანობასა და სინერგიაზე, ვიდრე ინდივიდუალურ რეგიონებზე. ავსტრიის სამართლებრივ ჩარჩოში არ არსებობს, როგორც ასეთი, „რეგიონული პოლიტიკა“ ან „რეგიონული განვითარება“. ის, რაც შეიძლება ჩავთვალოთ რეგიონულ პოლიტიკად, გაბნეულია ფედერალური მთავრობისა და პროვინციების სხვადასხვა საჯარო უწყებების ფუნქციებში. „ნომინალური სივრცითი დაგეგმარება“, რომელიც რეგულირდება სივრცითი დაგეგმარების კონკრეტული კანონებით, წარმოადგენს პროვინციებისა და მუნიციპალიტეტების კომპეტენციას. გარდა ამისა, არსებობს პოლიტიკა დარგების მიხედვით (მაგალითად, ინფრასტრუქტურა, საჯარო მომსახურება, სუბსიდიები), რომელზეც არ ვრცელდება რეგიონული დაგეგმარების კანონები, მაგრამ რომელმაც მაინც შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს სივრცით განვითარებაზე („ფუნქციური რეგიონული დაგეგმვა“) (BMNT, 2018)

### *LEADER პროგრამები*

LEADER პროგრამებს ახორციელებს მდგრადობისა და ტურიზმის ფედერალური სამინისტრო (BMNT), რომელიც 2018 წლამდე ცნობილი იყო სოფლის, სატყეო მეურნეობის, გარემოსა და

წყალმომარაგების ფედერალური სამინისტროს სახელით. აღნიშნული სამინისტროს მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ავსტრიის სივრცითი განვითარების კონცეფციის მომზადება და გამოქვეყნება. ავსტრიის სივრცითი განვითარების მიმდინარე კონცეფცია („ÖREK 2011“) გამოიცა 2011 წელს და მოიცავს დაგეგმარებას ათწლიანი პერიოდისთვის. ეფუძნება რა „სივრცე ყველასათვის“ პრინციპს, ეს არის ავსტრიაში საერთო სივრცითი განვითარების სტრატეგიული ინსტრუმენტი.

BMNT-მ უზრუნველყო სამოქალაქო საზოგადოების და ყველა შესაბამისი პოტენციური პარტნიორის ჩართვა ÖREK 2011-ის შემუშავების პროცესში. ამ მიზნით, შეიქმნა ÖREK-პარტნიორობის ინსტრუმენტი, რომელიც უმთავრესად გულისხმობდა ყველა შესაბამისი პარტნიორის გაერთიანებას, რათა დეტალურად გაწერილიყო შინაარსი და შემუშავებულიყო მიდგომა გადაწყვეტილებებისადმი. დავალება მოიცავს ავსტრიის სივრცითი განვითარების პოლიტიკისთვის დაგეგმარების ძირითადი მასალების შექმნას (მაგ. „ÖROK პროგნოზები“). ექსპერტთა მუშაობის შედეგი წარმოდგენილი იქნა ÖROK რეკომენდაციების სახით, რომელიც ასევე გაზიარებულ იქნა პოლიტიკურ დონეზე (ავსტრიის კონფერენცია სივრცითი დაგეგმარების შესახებ 2011).

ევროკავშირის მასშტაბით, ავსტრიაში LEADER მიდგომა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია. მიუხედავად იმისა, რომ LAG-ები უკვე წარმოდგენილია რეგიონების უმრავლესობაში, თავდაპირველი მიდგომა ორიენტირებული იყო ნაკლებად განვითარებულ რეგიონებზე - რომელთა მშპ ეროვნულ საშუალო მაჩვენებელზე ნაკლები იყო და რომლის მოსახლეობა 30 ათასს არ სცდებოდა (ინტერვიუ შტეფან ნიდერმოსერთან). ამგვარი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს მიეცათ შესაძლებლობა შეექმნათ LAG-ები და საგრანტო განაცხადები გაეკეტებინათ პროექტების განსახორციელებლად.

ავსტრიაში 9 პროვინციაა („Bundesländer“), რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილია 79 ოლქად („Bezirke“). ტერიტორიული მოწყობის ყველაზე დაბალი დონე მუნიციპალიტეტებია. თითოეულ ოლქში 20-30 მუნიციპალიტეტია, ხოლო მუნიციპალიტეტების საერთო რაოდენობა შეადგენს 2,100-ს. როგორც წესი, LAG-ი იქმნება ოლქის დონეზე (ინტერვიუ შტეფან ნიდერმოსერთან).

ავსტრიაში, მრავალი სხვა ქვეყნის მსგავსად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია ჰყავდეს წარმომადგენელი LAG-ში. საქართველოსგან განსხვავებით, მუნიციპალიტეტის მერები, როგორც წესი, აქტიურად არიან ჩართულნი LAG-ის საქმიანობაში. ჯგუფის სხვა წევრებს შორის არიან რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციები, სავაჭრო პალატები, ტურისტული ორგანიზაციები და კერძო პირები. ავსტრიული სისტემა ხაზს უსვამს, რომ LEADER მიდგომა არ შემოიფარგლება მხოლოდ სოფლის მეურნეობით (LAG-ში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ფერმერთა მცირე რიცხვი), ის შეეხება სასოფლო რეგიონების ფართო განვითარებას.

Figure 3: The evolution of LEADER programmes in Austria

პროგრამა	პერიოდი	EU დაფინანსება	ქვეყნის დაფინანსება	ჯამი
LEADER II	1995-1999	25	24	49
LEADER +	2000-2006	77	30	107
LEADER 07-13 (mainstreaming)	2007-2013	214	209	423
LEADER 14-20	2014-2020	196	51	247

წყარო: Niedermoser (2017), PowerPoint presentation ‘Association of LAGs in Austria’ available at [http://nssmas.eu/wp-content/uploads/2017/06/asociacia\\_mas\\_v\\_rakusku\\_stefan\\_niedermoser.pdf](http://nssmas.eu/wp-content/uploads/2017/06/asociacia_mas_v_rakusku_stefan_niedermoser.pdf)

2015 წლიდან, ავსტრიაში დაახლოებით 2800 პროექტი დაფინანსდა. LAG-ები ვალდებულნი არიან საკუთარ ვებ-გვერდებზე განათავსონ ინფორმაცია ყველა პროექტის შესახებ. უფრო მეტიც, LAG-ების ეროვნული ასოციაცია ასევე უზრუნველყოფს მონაცემების გამოქვეყნებას LAG-ის მიერ დაფინანსებული თითოეული ინდივიდუალური პროექტის შესახებ. აღნიშნული მონაცემები სასარგებლოა არა მხოლოდ ანალიზისთვის ეროვნულ დონეზე, არამედ ეს არის სასარგებლო ინსტრუმენტი LEADER პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოს წარმოსაჩენად და იმ გავლენის შესაფასებლად, რომელსაც ახდენს პროგრამა. პროექტების მიზნობრიობა მრავალფეროვანია. მაგალითად, სათემო პროექტები შეიძლება მოიცავდეს ადგილობრივი რეგიონის პოპულარიზაციას მისი ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის, სპორტისა და ტურიზმისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობას, როგორცაა კლდეზე ცოცვის ან ველოსიპედით პარკურის ადგილები, ან საგანმანათლებლო და სოციალური ობიექტების მხარდაჭერას, როგორცაა საბავშვო ბაღები. პროექტების დეტალური აღწერა შეგიძლიათ იხილოთ ავსტრიის რეგიონების ქსელის ვებგვერდზე - „Netzwerk Zukunftsraum Land“ (<https://www.zukunftsraumland.at/>)

**ცხრილი 1: LAG-ების მაგალითები ავსტრიაში**

<p><b>LEADER region Wachau-Dunkelsteinerwald</b> <a href="http://www.wachau-dunkelsteinerwald.at/region/leader-region-wachau-dunkelsteinerwald/">http://www.wachau-dunkelsteinerwald.at/region/leader-region-wachau-dunkelsteinerwald/</a></p> <p>2002 წელს, <b>Wachau</b> რეგიონის 12 მუნიციპალიტეტმა (13-დან) შექმნა LEADER რეგიონი LEADER + period-ისთვის. 2007 წელს იგი გაფართოვდა და მოიცვა Dunkelsteinerwald-ის რეგიონის 5 თემი.</p> <p>LEADER-ის მიმდინარე პერიოდში (2014-2020), აღნიშნული რეგიონი შედგება 17 მუნიციპალიტეტისგან, საერთო ფართობით 475.21 კმ<sup>2</sup> და 51,143 მაცხოვრებლით. ამ ორ ქვე-რეგიონს მინიჭებული აქვს ავტონომიის საჭირო დონე რეგიონული განვითარების მიმართულებით, რაც აყენებს ორივე მათგანს სხვადასხვა ამოცანებისა და მოთხოვნების წინაშე. 2015-2023 პერიოდისთვის შეიქმნა პროექტების შერჩევის კომიტეტი, რომლის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეამოწმოს LEADER პროექტების შესაბამისობა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასთან</li> </ul>
---

- მიიღოს გადაწყვეტილება წარმოდგენილი LEADER პროექტების დამტკიცების ან უარყოფის შესახებ
- განსაზღვროს დახმარების ოდენობა
- გადაუზღვეს განაცხადი დამფინანსებელ ორგანოს ფორმალური განხილვის მიზნით
- მართოს გამოყოფილი LAG-ის ბიუჯეტი
- აკონტროლოს და შეამოწმოს ხარისხი ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელების პროცესში.

პროექტების შერჩევის კომიტეტის შემადგენლობა რეგულირდება LEADER ასოციაციის წესდებით. იგი შედგება რეგიონული თემების 17 წარმომადგენლისა და სამოქალაქო საზოგადოების 18 წარმომადგენლისგან. სათემო წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების საერთო რაოდენობის მინიმუმ 1/3 უნდა იყოს ქალი. კომიტეტი ქმედითუნარიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაცულია სამოქალაქო საზოგადოების კვოტა (1 ხმით მეტი, ვიდრე სათემო წარმომადგენლებს) და ქალთა კვოტა (კენჭისყრის უფლების მქონეთა მინიმუმ ერთი მესამედი არის ქალი).

პროექტების შერჩევის კომიტეტის სხდომა იმართება 4 -ჯერ კალენდარული წლის განმავლობაში. პრიორიტეტი ენიჭება სხდომებზე წარმოდგენილ პროექტებს, თუმცა თითოეულ მონაწილეს აქვს უფლება ერთჯერ კალენდარული წლის მანძილზე მოითხოვოს პროექტზე რეზოლუცია ელექტრონული ფოსტით.

LAG-ის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი პროექტი იყო საკვალიფიკაციო ინიციატივა, რომლის სამიზნე ჯგუფი იყო რეგიონის საოჯახო სასტუმროები. მომდევნო სამი წლის განმავლობაში, Gästering Donau NÖ განახორციელებს კვალიფიკაციის ამაღლების ყოვლისმომცველ პაკეტს, რომელიც მოიცავს ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს და ექსკურსიებს Wachau და Nibelungengau რეგიონის კომპანიებისთვის. მეპატრონეებმა უნდა გაიარონ ტრენინგი სამეწარმეო საქმიანობაში და მოემზადონ კერძო ოთახების გაქირავების სფეროში მომავალი გამოწვევებისთვის. უნდა განისაზღვროს დემოგრაფიული ცვლილების გამო სტუმრების ცვალებადი საჭიროებები და შესწორდეს შეთავაზებები ფერმერული ბიზნესებისთვის, ღვინის მწარმოებლებისა და კერძო მეპატრონეებისთვის.

**LAG National Park Upper Austria Kalkalpen - <http://www.leader-kalkalpen.at/region/nationalparkregion/>**

LEADER ეროვნული პარკი კალკალპენი წარმოიქმნა 2007 წელს 22 მუნიციპალიტეტის შერწყმის შედეგად. 1,617.73 კმ<sup>2</sup> ფართობით, ეს არის ამჟამად ყველაზე დიდი LEADER რეგიონი ზემო ავსტრიაში. 44,000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს სამ ქვერეგიონში: Ennstal, Steyrtal და Pyhrn-Priel. ის არა მხოლოდ აერთიანებს რკინის გზის (The Iron Road) საერთო კულტურულ მემკვიდრეობას, არამედ ხელობის/ოსტატობის ტრადიციას, რაც ტურიზმთან, სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობასთან ერთად ქმნის ამ სოფლის ეკონომიკურ ზონას. რეგიონის შუაგულში მდებარეობს 20,850 ჰექტარზე ეროვნული პარკი, “კირქვის ალპები.”

„Steyrtal-Radwe ველოსიპედის მარშრუტი“ ერთ-ერთი პროექტია, რომელიც LAG-მა დააფინანსა. ველოსიპედის მარშრუტი, რომელიც იყო მარტივი ასათვისებელი, საჭიროებდა განახლებას, რათა უკეთ გადმოეცა მიმდებარე რეგიონის ისტორია და გაეზარდა საველოსიპედო გზის მიმზიდველობა. ერთის მხრივ, ეს უნდა მომხდარიყო ნიშნების განლაგებით და მეორეს მხრივ, ველოსიპედის ბილიკის გასწვრივ უნდა მოწყობილიყო რამდენიმე გადასახედი პლატფორმა, საიდანაც გადაიშლებოდა სტერის ხეობის სილამაზე. პროექტის ფარგლებში მიღწეულ იქნა სამი მიზანი:

- გაიზარდა Steyr ხეობის საველოსიპედო მარშრუტის მიმზიდველობა და მარკეტინგული შესაძლებლობები
- მოხდა მისი სრული ინტეგრაცია ეროვნული პარკის და Limestone Alps სამარშრუტო ქსელში
- ხაზი გაესვა, ველოსიპედის ბილიკის საოჯახო დასვენებაზე ორიენტირებულობის მახასიათებელს

ავსტრიაში LAG-ის მიერ შემუშავებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგია რეგიონული განვითარების დაგეგმარების პროცესის ნაწილია. სისტემა ისეა მოწყობილი, რომ LAG-ები თავიანთ თემებში აფასებენ წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებს და ყოველწლიურად წარუდგენენ ანგარიშს სამინისტროს, რათა წარმოაჩინონ LAG-ის პროექტების გავლენა.

ავსტრიაში LAG-ების ასოციაცია შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. თუმცა, ზოგიერთი LAG-ის ხელმძღვანელს ერთმანეთთან არაოფიციალური შეხება ჰქონდათ 2008 წლიდან, რათა განეხილათ LEADER მიდგომასთან დაკავშირებული საკითხები. ორი წლის შემდეგ, ამ მოხალისე ჯგუფების ხელმძღვანელებმა წარმატებით შეძლეს წლიური არაფორმალური შეხვედრის ორგანიზება სამინისტროსთან. ლოგიკურად, შემდგომი ნაბიჯი იქნებოდა უფრო სტრუქტურირებული ალიანსის ფორმირება, რომელიც გახდებოდა სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი აქტორი და შეძლებდა LAG-ების ინტერესების ლობირებას. ასოციაციის შექმნამდე, ჩატარდა კვლევა ინდივიდუალური LAG-ების იდეებისა და საჭიროებების დასადგენად. თუმცა, ფორმალური ქსელის შექმნის მცდელობა მარცხით დასრულდა. 2014-2020 წლის ახალ პროგრამულ პერიოდში, ამგვარი ალიანსის შექმნის მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა - დარეგისტრირდა LEADER ფორუმი, რომელშიც გაერთიანდა 77-ვე LAG-ი (Niedermoser, 2017). ამგვარი გაერთიანება ქმნის კარგ შესაძლებლობას LAG-ის ინტერესები მუდმივად იყოს წარმოდგენილი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა სამუშაო ჯგუფში ან კომიტეტის დისკუსიებში მონაწილეობის გზით.

## **CSO სექტორი**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავსტრიას ყავს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფოსთან კოორდინაციისა და თანამშრომლობის გრძელი ისტორიით. ქვეყანაში დაახლოებით 122 ათასი არასამთავრობო ორგანიზაციაა და თითქმის ყველა მათგანი რეგისტრირებულია როგორც CSO. CSO სექტორში შედის რამდენიმე მსხვილი ორგანიზაცია,



რომლებსაც აქვთ მჭიდრო კავშირები პოლიტიკურ პარტიებთან და რომელთა როლი აქტუალურია ეკონომიკური თვალსაზრისით. მრავლად არიან წარმოდგენილი მცირე ასოციაციები, რომელთა როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თემთა საზოგადოებრივ ცხოვრების მიმართულებით. სოციალური მომსახურების მიმართულებით ყველაზე მსხვილი და მნიშვნელოვანი არასამთავრობო ორგანიზაციებია - Caritas, Diakonie, Flüchtlinge Willkommen, ხოლო ადვოკატირების მიმართულებით - Caritas, Diakonie და Train of Hope (Neumayr et al., 2017).

ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს შორის აღსანიშნავია საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს საქველმოქმედო ფონდების რაოდენობისა და გავლენის გაზრდას, ასევე კანონი შემოწირულობების საგადასახადო გამოქვითვასთან დაკავშირებით. ავსტრიაში სამოქალაქო ჩართულობის არსებითი სამართლებრივი საფუძველია თავისუფალი შეკრებისა (right of free assembly) და გაერთიანების უფლება (freedom of association); ორივე მათგანი განისაზღვრა ფუნდამენტურ უფლებებად 1867 წლის კონსტიტუციაში. გაერთიანების უფლება მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გაერთიანდნენ ჯგუფებში ყოველგვარი ადმინისტრაციული ძალისხმევის, დაფინანსების მოთხოვნის ან ფორმალური ნებართვის გარეშე (Neumayr et al., 2017).

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს აქვთ მჭიდრო ურთიერთობა ხელისუფლებასთან ყველა დონეზე. თუმცა, ყველაზე მსხვილი დონორია რეგიონული (პროვინციული) მთავრობა, რომლის წილი საჯარო დაფინანსებაში შეადგენს 45%-ს; შემდეგ მოდის ადგილობრივი მთავრობა (23%) და ფედერალური მთავრობა (23%) (Neumayr et al., 2017).

მრავლად იყო შემთხვევა, როდესაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეძლეს მობილიზება და მნიშვნელოვანი ცვლილებების ინიცირება ქვეყნის კანონმდებლობასა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში. მაგალითად, ავსტრიის ფონდების მოძიების ასოციაციამ (FVA), პლატფორმა რომელიც აერთიანებს CSO-ების დიდ ნაწილს, წარმატებით განახორციელა ლობირება ფონდების მოძიების რეგულაციების გაუმჯობესების მიზნით. ასოციაციის ძალისხმევის წყალობით შეტანილი ცვლილებების შედეგად, 2016 წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა კანონი საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ (Neumayr et al., 2017).

## ჩეხეთის გამოცდილება

### რეგიონული პოლიტიკა

ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობა ოდნავ განსხვავდება სხვა ქვეყნების მოწყობისგან. ქვეყანა შედგება 14 რეგიონისგან ('kraje'), რომელთა შორისაა ჩეხეთის დედაქალაქი - პრაღა. ჯერ კიდევ არსებობს 76 ოლქი, თუმცა 2003 წელს გატარებული ტერიტორიული მოწყობის რეფორმის შედეგად, უფლებამოსილება უმთავრესად გადაეცა *გაფართოებული კომპეტენციის მქონე 204 მუნიციპალიტეტს*. ყველაზე დაბალ დონეს წარმოადგენს 6000 მუნიციპალიტეტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებით (ან „*მეორე დონის*“ *მუნიციპალიტეტები*). LAG-ებში ჩვეულებრივ წარმოდგენილია მეორე დონის რამდენიმე მუნიციპალიტეტი. ამრიგად, ავსტრიისგან განსხვავებით, LAG-ებში არ არის მკაცრად დაცული ოლქების მიხედვით არსებული საზღვრები.

კომუნისტური წარსულის გამო საჯარო საქმეებსა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მცირე შესაძლებლობითა და ტრადიციების ნაკლებობით შესაძლოა აიხსნას ის ფაქტი, რომ ჩეხეთის CSO-ებისთვის საზოგადოებრივი ადვოკატირება ნაკლებად მნიშვნელოვანია: „ჩეხ პოლიტიკოსებს, ზოგადად, არ სურთ აღიარონ მესამე სექტორის პოლიტიკური როლი. ინსტიტუციური და სამართლებრივი გარანტიების მიუხედავად ... ისინი ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ჯერ კიდევ არ სურთ ინფორმაციის გაზიარება საჯარო საკითხების შესახებ“ (Salamon et al., 2000).

რეგიონული პოლიტიკის შესახებ ძირითადი სახელმწიფო დოკუმენტია ჩეხეთის რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგია (ჩეხეთის რეგიონული განვითარების სამინისტრო, 2006). სხვა საკითხებთან ერთად, ეს დოკუმენტი მოიცავს რეგიონული განვითარების მხრივ არსებული მდგომარეობის ანალიზს, ასევე ადგენს ჩეხეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიულ მიზნებს. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობის მსგავსად, რეგიონული განვითარების სტრატეგია ეფუძნება მდგრადი განვითარების სტრატეგიას. ეროვნულ დონეზე არსებული კიდევ ერთი დოკუმენტია ტერიტორიული განვითარების პოლიტიკა, რომელიც “მოიცავს ტერიტორიული დაგეგმარების პრიორიტეტებს მდგრადი ტერიტორიული განვითარების უზრუნველსაყოფად და განსაზღვრავს ტერიტორიებს, სადაც აუცილებელია ცვლილებების გატარება საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის აქტივობების კონცენტრაციის გამო. აღნიშნული დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს ტერიტორიებს, რომელთაც გააჩნიათ სპეციფიკური ღირებულება და რომლებიც აწყდებიან სპეციფიკურ პრობლემებს; ასევე განსაზღვრავს საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის დერეფნებს, სატრანსპორტო და ტექნიკურ ინფრასტრუქტურას; ადგენს კრიტერიუმებსა და პირობებს ამგვარი ტერიტორიებისთვის, დერეფნებისა და რეგიონებისთვის” (ჩეხეთის რეგიონული განვითარების სამინისტრო, 2006)

### ***LEADER პროგრამები***

LEADER პროგრამები ჩეხეთის რესპუბლიკაში დაიწყო 2004 წლიდან, პროგრამის LEADER + ეტაპზე. LEADER I და LEADER II პროგრამების ევროკავშირში წარმატებით განხორციელების შემდეგ, LEADER მიდგომამ სწრაფად გავრცელდა. მერები და ადგილობრივი/ რეგიონული ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ ცენტრალური ხელისუფლებისა და ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს. ტრენინგები მოიცავდა პრაქტიკულ მითითებებს LEADER მიდგომის არსის შესახებ და LAG-ების შექმნის გზების გაცნობას. ტრენინგების დასრულებიდან მცირე ხნის შემდეგ, მრავალი მუნიციპალიტეტის მერმა აიღო LAG-ის ფორმირების ინიციატივა. დღემდე, ჩეხეთის რესპუბლიკაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ჩართულობა ძალზედ მაღალია. სხვა წევრები არიან არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნესის წარმომადგენლები, ასევე რამდენიმე წარმომადგენელი მცირე და მსხვილი მეურნეობებიდან (ფერმებიდან). სასოფლო-სამეურნეო სექტორის წარმომადგენლების რაოდენობა იშვიათად აღემატება LAG-ის შემადგენლობის 10% -ს (ინტერვიუ Gusta Charouzek-თან).

LAG-ების ქსელის შექმნა ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ჩეხეთის კონტექსტში. ქსელი ჩამოყალიბდა მალევე LEADER მიდგომის ქვეყანაში ოფიციალური შემოღებიდან. ქსელმა არაფორმალური ფუნქციონირება დაიწყო 2005 წელს, ხოლო 2007 წელს იგი გახდა ფორმალური იურიდიული პირი. ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო ქსელის სისტემატური მონაწილეობის უზრუნველყოფა ისეთ პლატფორმებსა და მექანიზმებში, რომლებიც საშუალებას მისცემდა LAG-ებს პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონოდათ მთავრობასთან. აღნიშნული ამოცანა დიდწილად იქნა მიღწეული ბოლო 4 წლის განმავლობაში. ქსელმა მოიწვია გამოცდილი ლობისტი, რომელსაც კარგად ესმოდა არა მარტო LAG-ების საქმიანობის პრინციპი, არამედ მთავრობასთან სწორი კომუნიკაციის სტრატეგია. ამჟამად, რეგიონული განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელია ერთ-ერთი LAG-ის წევრი, რაც კიდევ მეტ მნიშვნელობას სძენს LAG-ების პროფილს და ზრდის მათ ხილვადობას.

LAG-ები, როგორც წესი, ყველაზე მსხვილი და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების აქტორები არიან თავიანტ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან LAG-ებისთვის სირთულეს წარმოადგენდა საზოგადოებაში ცნობადობისა და რეპუტაციის დამკვიდრება, ახლა უკვე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები ეწევიან თავიანთ საქმიანობას LAG-ის პლატფორმის ფარგლებში. ჩეხეთის რესპიბლიკაში LAG-ებმა მიაღწიეს იმ დონეს, როცა საკუთარს დღის წესრიგს გასატანად მათ აღარ სჭირდებათ სტრატეგიული პარტნიორობის ფორმირება სხვა ეროვნულ და რეგიონულ ორგანიზაციებთან (ინტერვიუ - Gusta Charouzek)

**ცხრილი 2: LAG-ების მაგალითები ჩეხეთის რესპუბლიკაში**

**LAG Znojenské vinařství, zs** - <https://www.znojemskevinarstvi.cz/o-nas-menu>

მევენახეობის LAG-ის „Znojmo“ ტერიტორიული არეალი ამჟამად მოიცავს 43 მუნიციპალიტეტს. ყველა მუნიციპალიტეტი მდებარეობს სამხრეთ მორავიის რეგიონში, ზნოჟმოს ოლქში. მუნიციპალიტეტების უმრავლესობა წარმოადგენს ტრადიციული ტიპის კომპაქტურ სასოფლო დასახლებას.

LAG-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ის, რომ მოიძიოს და პირდაპირ გაანაწილოს თანხა რეგიონში მის მიერ შემუშავებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შესაბამისად. LAG-ის ამოცანები მოიცავს შემდეგს:

- გრანტების მოძიება მისი წევრებისთვის, დახმარება LAG-ის და LAG წევრების პროექტების დამუშავების პროცესში
- ტრენინგი LAG-ის წევრებისთვის
- პროექტების შერჩევა (საბჭოს მიერ შეფასების მკაფიო კრიტერიუმების და მკაფიო პროცედურების გამოყენებით)
- აპლიკანტის, მის მიერ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისობის გადამოწმება
- პროგრესის შეფასება პროექტამდე, მისი განხორციელების პროცესში და შემდგომ
- პროექტების დამტკიცება მისი მმართველობის ორგანოს დონეზე; პროექტების შერჩევის დროს, უნდა განისაზღვროს მათი თანმიმდევრობა და შემდგომი განხორციელება.

LEADER საქმიანობა არ შემოიფარგლება ჩამოთვლილი აქტივობებით - აღნიშნული მეთოდი ეფუძნება ინოვაციურ და კრეატიულ პრაქტიკას. იგი ითვალისწინებს მუდმივ „ძიებას“ და ამავდროულად, სისტემატიურ და პასუხისმგებლიან საქმიანობას სოფლის განვითარებისთვის. LAG საბჭო შედგება 5 წევრისგან, განხილვის კომიტეტი 3 წევრისგან.

LAG-ის მიერ ქალაქ ზნოიმოსთან ერთობლივად განხორციელებული ერთ-ერთი პროექტი იყო „ზნოიმოს დამალული სილამაზე“. პროექტის ფარგლებში, LAG-ი მიზნად ისახავდა რეგიონის პოპულარიზაციას ზნოიმოს ფარული და უგულვებელყოფილი ბუნებრივი და ისტორიული სილამაზის წარმოჩენით. პროექტის პირველ ეტაპზე, დაიბეჭდა კალენდარი აღნიშნული მიდამოების ფოტოებით და შესაბამისი GPS კოორდინატებით. მეორე ეტაპზე, LAG-მა გამოაქვეყნა „ზნოიმოს დამალული სილამაზის“ აპლიკაცია, რომლის ჩამოტვირთვა უფასოდ არის შესაძლებელი.

ადგილობრივი განვითარების სტრატეგიები, რომელთა ფორმირება ხდება LAG-ების მიერ, რეგიონული დაგეგმვის პროცესის ნაწილია. არც ერთი დონის მუნიციპალიტეტი არ ქმნის განვითარების საკუთარ სტრატეგიას, რადგან მათ შეუძლიათ გამოიყენონ LDS. 13 პროვინციის რეგიონული განვითარების სტრატეგია (პრადის გამოკლებით) დიდწილად ეფუძნება LDS-ს. ამისათვის კი მნიშვნელოვანია, რომ ყველა LAG-ის მასშტაბით LDS-ის მონაცემთა შეგროვება იყოს ერთგვაროვანი და თანმიმდევრული. ჩატარდა არაერთი ტრენინგი იმისთვის, რომ ამაღლებულიყო LAG-ების წევრების უნარები მონაცემების შეგროვებისა და ანგარიშების წერის კუთხით. აღსანიშნავია, რომ LDS-ის დაახლოებით 90% შემუშავებულია ადგილობრივი პერსონალის მიერ, ხოლო 10% - მოწვეული კონსულტანტების დახმარებით (ინტერვიუ - Gusta Charouzek). მას შემდეგ რაც მომზადდება LDS, რეგიონული განვითარების სამინისტრო განიხილავს დოკუმენტს და გამოყოფს დაფინანსებას. ჩეხეთის რესპუბლიკაში არსებული 178 LAG-იდან, 177 იქნა დაფინანსებული მათი LDS-ის საფუძველზე. ამგვარი მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ LAG-ები სრულიად დამოუკიდებელნი არიან დადგენილი წესის ფარგლებში პრიორიტეტების განსაზღვრაში და თუკი ადგილი არ ექნება რაიმე საგანგებო შემთხვევას, ხელისუფლება უზრუნველყოფს დაფინანსებას. LAG-ისათვის ფულადი თანხის გამოყოფა ხდება სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით, როგორცაა მოსახლეობის ზომა, გეოგრაფია, დასაქმების დონე და დაახლოებით 20-მდე სხვა მაჩვენებელი.

გამოწვევა, რომლის წინაშეც დგანან LAG-ები ჩეხეთის რესპუბლიკაში არის ის, რომ მათ მიერ LDS-ში განსაზღვრული პრიორიტეტები შესაძლოა ექვემდებარებოდეს ხუთ სხვადასხვა სამინისტროს. ასეთ შემთხვევაში, თითოეული სამინისტროსთვის მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურა ინდივიდუალურად ხორციელდება, რაც უქმნის ბიუროკრატიულ სირთულეებს LAG-ებს. ეს არის LAG-ებისთვის დიდი გამოწვევა, რადგან მათი პერსონალის რაოდენობა მცირეა და პერსონალისთვის საბიუჯეტო სახსრები შეზღუდულია. ზოგიერთ რეგიონში, რეგიონული მთავრობები აწვდიან დამატებით დაფინანსებას LAG-ებს, რათა მათ შეძლონ ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების დაფარვა და LAG-ების მდგრადობის უზრუნველყოფა. როგორც ჩანს, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლება კარგად აცნობიერებს LAG-ების შენარჩუნების მნიშვნელობას.

## **CSO სექტორი**

ჩეხეთის სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელია მისი ურთიერთობა სახელმწიფოსთან. ერთის მხრივ, სახელმწიფო წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს, როგორც საგრანტო სქემების, ასევე მომსახურების მიწოდების კონტრაქტების სახით. მეორეს მხრივ, CSO-ების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ხელისუფლება საეჭვო და პოტენციურად სახიფათოა (Navratil & Pejcal, 2017).

ჩეხეთის რესპუბლიკაში თითქმის 127 ათასი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაა. არასამთავრობო ორგანიზაციებს მარტივად შეუძლიათ დარეგისტრირება და ფუნქციონირება (USAID, 2017). CSO სექტორის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, მთავრობამ 2014 წელს შექმნა CSO-ების საჯარო რეესტრი - შედეგად, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია სადამფუძნებლო დოკუმენტებსა და დებულებებზე (სამოქალაქო კოდექსი, 2014).

ჩეხეთის რესპუბლიკაში არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოების ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ზოგადი სამართლებრივი განმარტება. თუმცა, პოლიტიკური და სოციალური უფლებები გაფანტულია მრავალრიცხოვან აქტებში და რეგულაციებში: ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია (აქტი № 1/1993), ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტია (აქტი # 2/1993), აქტი გაერთიანების უფლების შესახებ (აქტი N 84/1990), აქტი პეტიციის უფლების შესახებ (აქტი N 85/1990), კანონი „სახალხო დამცველის შესახებ“ (აქტი N 349/1999), აქტი რელიგიური თავისუფლების და რელიგიური ჯგუფებისა და ეკლესიების შესახებ (აქტი N 3/2002), სამოქალაქო კოდექსი (აქტი № 89/2012), აქტი N 248/1995 საჯარო კომპანიებზე და აქტი N 111/1998 უნივერსიტეტების შესახებ (Navratil & Pejcal, 2017).

არსებობს არაკომერციული ორგანიზაციების 13 სამართლებრივი ფორმა, მათ შორის ფონდი; ფილანტროპიული ფონდი; საზოგადოებრივი კომპანია; საჯარო უნივერსიტეტი; სკოლის კორპორაცია; ეკლესია და სხვები (ჩეხეთის სტატისტიკის სამსახური 2015). თუმცა, ამათგან 90% ასოციაციაა.

ჩეხეთის სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმალური ინსტიტუტია არასამთავრობო და არაკომერციულ ორგანიზაციათა სამთავრობო საბჭო. ეს არის მთავრობის საკონსულტაციო და საკოორდინაციო ორგანო, რომელიც განიხილავს არაკომერციულ სექტორთან დაკავშირებულ საკითხებს. მისი წევრების 50%-ს შეადგენს არაკომერციული სექტორის წარმომადგენლები, ხოლო მეორე 50%-ს - აღმასრულებელი ხელისუფლება. პლატფორმა საშუალებას აძლევს სამოქალაქო საზოგადოების შერჩეულ წარმომადგენლებს მიიღონ მონაწილეობა და გამოთქვან მოსაზრება კანონპროექტებისა და საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ, ჩაერთონ საჯარო პოლიტიკის კოორდინაციის საკითხებზე გამართულ დისკუსიებში და შეაფასონ ისინი, მიიღონ ინფორმაცია მთავრობის სამომავლო ნაბიჯების შესახებ, მიაწოდონ მთავრობას ინფორმაცია CSO-ების მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ, ასევე ზეგავლენა მოახდინონ და მონიტორინგი გაუწიონ სახელმწიფოს მიერ CSO-ებთან მიმართებაში გატარებულ ადმინისტრაციულ ღონისძიებებს (Navratil & Pejcal, 2017).

ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, ძირითადად ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება თამაშობს წამყვან როლს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების და, რაც მთავარია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მომსახურების მიწოდების პროცესში. იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება ანაწილებს საჯარო რესურსების ძირითად ნაწილს კეთილდღეობის მომსახურების გასაწევად (განსაკუთრებით სოციალური მომსახურების, ჯანდაცვის, განათლებისა და სატრანსპორტო საშუალებების სფეროში), ის განსაზღვრავს ეკონომიკური შესაძლებლობების სტრუქტურას არაკომერციული ორგანიზაციებისთვის (Navratil & Pejcal, 2017).

რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვან და მსხვილ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათ რიცხვს განეკუთვნება ფიფლ ინ ნიდ (People in Need), კარიტასი (Caritas), Superděti.cz და Diaconia of the Evangelical Church of the Czech Brethren. ადვოკატირების თვალსაზრისით, ყველაზე მსხვილი ორგანიზაციებია: People in Need, Amnesty International, Frank Bold და Nesehnutí.

საინტერესო ტენდენციაა ფორმალური და პროფესიული არასამთავრობის პარალელურად სახალხო ორგანიზაციების წარმოქმნა. მიგრაციის ბოლოდროინდელი კრიზისის დროს, როდესაც სამოქალაქო ინიციატივები წარმატებით განხორციელდა ლტოლვილების უფლებებისთვის და ქსენოფობიური განცხადებების წინააღმდეგ ადვოკატირების, ასევე ლტოლვილთა მომსახურების ორგანიზების მიმართულებით.

## ლატვიის გამოცდილება

### რეგიონული პოლიტიკა

ლატვიის ფართობი თითქმის იგივეა, რაც საქართველოსი. ავსტრიისა და ჩეხეთისგან განსხვავებით, ლატვიაში ოფიციალურად არ არსებობს რეგიონები, თუმცა არსებობს ხუთი „გეგმარებითი რეგიონი“. ლატვიაში 110 მუნიციპალიტეტია.

ლატვია დგას გამოწვევების წინაშე სასოფლო რეგიონებში. ბოლო პერიოდში, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება, რაც განაპირობებს მომსახურების შეზღუდულ ხელმისაწვდომობას: იზრდება დისტანცია იმ ადგილებამდე, სადაც ხდება მომსახურების გაწევა; მცირდება ჯანდაცვის, ტრანსპორტისა და განათლების ინფრასტრუქტურისთვის სახელმწიფო დაფინანსება; ადგილი აქვს რეგიონების არაბალანსირებულ და არათანაბარ განვითარებას. ამ ფონზე, კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს სოფლად LEADER LAG-ების არსებობა.

### LEADER პროგრამები

LEADER მიდგომა დანერგულ იქნა ლატვიაში 2000 წელს და მოიცვა მთლიანი ქვეყანა 2007 წელს. LAG-ების რაოდენობამ მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია 2006-2013 წლებში, შეადგინა რა 40. ამჟამად, LAG-ების რაოდენობა შეადგენს 35-ს. დასაწყისში, რთული იყო LAG-ების შესახებ ცნობიერების ამაღლება,

„დასაწყისში, LAG სრულიად უცხო რამ იყო მოსახლეობისთვის, სამუშაო იყო ძალზედ რთული. ჩვენ უნდა მიგვეწვდინა ხმა თითოეული ადამიანისთვის, აგვეხსნა, თუ რა იყო ლაგი და რას გულისხმობდა ლიდერ მიდგომა. ჩვენ ვაწვდიდით ინფორმაციას ფონდების, დაფინანსების

იდებებსა და პროექტებს. ახლა სულ სხვაგვარი სიტუაციაა - ხალხმა იცის, რომ მათ შეუძლიათ მიიღონ ფული საკუთარი იდეების დასაფინანსებლად. LAG-ის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩვენ დავიწყეთ მუნიციპალიტეტებთან მუშაობა; ისინი იცნობდნენ აქტიურ პირებს და ჩვენ დავიწყეთ მათთან თანამშრომლობა. ჩვენ გავავრცელეთ ინფორმაცია LEADER-ის შესახებ, ჩვენ ჩავატარეთ სემინარები და საინფორმაციო შეხვედრები. თავდაპირველად, აქტიურობას იჩენდნენ ინდივიდუალური პირები, ახლა მეწარმეები არიან უფრო აქტიური” (ინტერვიუ - Eva Haberkorne-Vimba).

LAG-ების ქსელის ფორმირება - რეგიონული ფორუმის დაფუძნება მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ლატვიაში სოფლის განვითარებისთვის.

(საუბრობს ლაგების ფორუმზე) ისინი ჩვენს “დედიკოსა და მამიკოს” გვგანან, ისინი არ მოქმედებენ LAG-ის მსგავსად; ისინი მიდიან სამინისტროებში; ეცნობიან რეგულაციებს და აწვდიან მათ შესახებ ინფორმაციას LAG-ებს; გვეხმარებიან კომუნიკაციაში; ლობირებენ. ორგანიზაციას მტკიცე პოზიცია უჭირავს და ფოკუსირებულია LAG-ებზე. ისინი ხედავენ უფრო ფართო სურათს’ (ინტერვიუ - Daiga Krūmiņa).

მოცემული ციტატა ნათლად გამოხატავს ქსელის ტიპის ორგანიზაციის დამატებით ღირებულებას - მას შეუძლია პოლიტიკის დონეზე არსებული საკითხების მოგვარება და LAG-ების ინტერესების გააღრმავება სხვადასხვა ეროვნულ ფორუმზე. რეგიონული ფორუმი ასევე კოორდინაციას უწევს ყოველკვირეულ ონლაინ შეხვედრას. ადგილობრივ დონეზე LAG-ებს შორის ჯვარედინი კომუნიკაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლასა და თანმიმდევრულობას. ვებ-გვერდთან ერთად, სადაც LAG-ებს შეუძლიათ ღიად გამოხატონ ინტერესი გარე პროექტების მიმართ, ის არის თანამშრომლობისა და პარტნიორობის ეფექტური პლატფორმა (ინტერვიუ - Zane Gusta).

### ცხრილი 3: LAG-ების მაგალითები ლატვიაში

**LAG Lauku partnerība „Sēlija”** - <http://www.partneribalielupe.lv/index.php/par-mums>

ასოციაცია - სოფლის პარტნიორობა “Lielupe” დაფუძნდა 2005 წელს, იელგავას ოლქის მუნიციპალიტეტების, მეწარმეების და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით. ასოციაცია ჩართულია LEADER პროგრამის (EAFRD დაფინანსება) განხორციელებაში იელგავასა და ოზოლნიეკის ოლქებში. სასოფლო პარტნიორობა "Lielupe" შესაძლებლობას აძლევს სოფლის მოსახლეობას მოიპოვოს ევროკავშირის დაფინანსება ბიზნესის განვითარების, ტერიტორიის ორგანიზებისა და საზოგადოებრივი აქტივობების დივერსიფიკაციისთვის. ასოციაცია ხელს უწყობს ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფების საქმიანობას და სოფლის მოსახლეობის ჩართვას საერთაშორისო პროექტებში.

პარტნიორობის სამიზნე ტერიტორიაა იელგავა და ოზოლნიეკი. ტერიტორიის საერთო ფართობია 1604 კვ.მ., მოსახლეობა - დაახლოებით 37 ათასი. სოფლის პარტნიორობის ტერიტორიაზე, იელგავა-ოზოლნიეკის ოლქიდან 13 თემია. საერთო კრება შედგება 54 წევრისგან, რომელთაგან 15 წარმოდგენილია გადაწყვეტილების მიმღებ საბჭოში. LAG-ის აღმასრულებელ ორგანოში 2 პირია.

„LAG-ის დაფუძნების მიზანია იელგავასა და ოზოლნიეკის სასოფლო რეგიონებში მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, განვითარების პროცესში საზოგადოების ინტერესების გახმოვანება“.

კონკრეტული ამოცანები მოიცავს შემდეგს:

- საზოგადოებრივი ინიციატივის ხელშეწყობა სოფლების განვითარების მიზნით;
- სოფლის მდგრადი განვითარებისთვის სტრატეგიების შემუშავება და მათი განხორციელების უზრუნველყოფა საზოგადოების მონაწილეობის პრინციპის გამოყენებით
- შესაძლებლობების მოძიება რათა მოახდინონ საგანმანათლებლო სემინარების ორგანიზება
- წევრების კვალიფიკაციის ამაღლება ლატვიაში და საზღვარგარეთ
- სამუშაო ჯგუფებისა და კოალიციების ფორმირება ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სოფლის განვითარების საკითხების მოსაგვარებლად
- პარტნიორობის მიზნებისთვის ფინანსური, მატერიალური, ინტელექტუალური და სხვა სახის რესურსების მოზიდვა და კოორდინაცია;
- ხელისუფლებასთან, ადგილობრივ მთავრობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ლატვიაში და საზღვარგარეთ მოქმედ კომპანიებთან და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება იელგავასა და ოზოლნიეკის ოლქების განვითარების მიზნით.

“Shitake სოკოს მოყვანა და დამუშავება“ ერთ-ერთი პროექტია, რომელიც დაფინანსებულია LAG-ის მიერ. პროექტის მიზანს წარმოადგენდა საჭირო ტექნიკის შეძენა და ZS Trubenieki -ს დამატებითი ფილიალის შექმნა სოკოს გადასამუშავებლად - მისი გამოშრობითა და დაფქვით, ტურიზმის ახალი ადგილის შექმნით. პროექტი მოიცავდა სოკოს საჭრელის, გამხმარი პროდუქტის საფქვავისა და საშრობი მანქანის შეძენას. ასევე იატაკის, კანოპის და სამზარეულოს განახლებას. პროექტისთვის დაახლოებით 21 ათასი ევრო გამოიყო.

LAG-ების მიერ შემუშავებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიები უნდა ემთხვეოდეს რეგიონული განვითარების სტრატეგიებს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო აკონტროლებს, თუ რამდენად არის გაწერილი ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში ხედვა, პრიორიტეტები და კონკრეტული ქმედებები სოფლის განვითარების, ინოვაციების ხელშეწყობისთვის, სოფლის ეკონომიკის გაძლიერებისთვის, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. LDS-ის შემუშავების პროცესში უნდა იყვნენ ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა დაინტერესებული მხარეები; ამავდროულად, ის უნდა შეესაბამებოდეს დაგეგმარების სხვა დოკუმენტებს, რომლებიც სავალდებულო ხასიათისაა LAG ტერიტორიაზე (Krieviņa et al, 2015).

თუმცა, ადგილობრივი განვითარების სტრატეგია (LDS) არ უნდა იქნას აღქმული, როგორც ტერიტორიული განვითარების დაგეგმვის დოკუმენტი. ის უფრო არის დოკუმენტი, რომელიც არსებობს რეგიონული და ადგილობრივი ტერიტორიული დაგეგმვის სხვა დოკუმენტების პარალელურად და ხელს უწყობს „მათში გაწერილი მიზნების მიღწევას“ (Krieviņa et al, 2015: 147). Krieviņa et al (2015) ასახელებს სამ ძირითად მიზეზს, თუ რატომ არის ეს ასე:



„ლატვიაში მოქმედებს ტერიტორიული განვითარების დაგეგმვის მკაცრად რეგულირებული სისტემა, რომელიც მოიცავს პოლიტიკისა და განვითარების დაგეგმარებას და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ფინანსურ დაგეგმარებასთან; ასევე განსაზღვრავს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობასა და იერარქიას. LDS-ის შინაარსთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, ის შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც საშუალოვადიანი ტერიტორიული განვითარების დაგეგმვის დოკუმენტი. თუმცა, ეს ასე არ არის სამართლებრივ კონტექტში, რადგან 1) LAG-ები, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობები, არ არიან განვითარების დაგეგმვის სისტემის სამართლებრივი სუბიექტები, 2) ტერიტორიის განვითარების დაგეგმვის სისტემის იერარქიაში არ არის გათვალისწინებული ადგილი LAG-ებისთვის, 3) ტერიტორიული განვითარების დაგეგმვის კანონის თანახმად, ადგილობრივი დონის განვითარების დაგეგმვის დოკუმენტები უნდა შეიქმნას მხოლოდ ადგილობრივი მთავრობების მიერ“ (Krieviņa et al, 2015: 147)

არც გეგმარებითი რეგიონის და არც ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების დოკუმენტები არ განსაზღვრავს LDS-ს როლს სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში; თუმცა პრაქტიკაში, ადგილობრივი მთავრობები აქტიურად მონაწილეობენ LEADER პროექტების განხორციელებაში.

## **CSO სექტორი**

კვლევაში მონაწილე სამი ქვეყნიდან, CSO-ების ყველაზე დაბალი რაოდენობა სწორედ ლატვიაშია - 22 ათასამდე. თუმცა ასევე მნიშვნელოვნად მცირეა ქვეყნის მოსახლეობაც. CSO-ს რეგისტრაცია შედარებით მარტივია - საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია პირადად, ფოსტით ან ელექტრონული ფოსტით. ასოციაციის შექმნისთვის საჭიროა მინიმუმ ორი ადამიანი, ხოლო ფონდი შესაძლებელია დაფუძნებულ იქნას მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ. ლატვიამ შექმნა პორტალი, სადაც თავმოყრილია თითქმის ყველა ელექტრონული სერვისი, რომელსაც უზრუნველყოფს სახელმწიფო. 2016 წლიდან, ყველა იურიდიული პირი ვალდებულია დარეგისტრირდეს ლატვიის მეწარმეთა რეესტრში და წარმოადგინოს ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელზეც განხორციელდება ყველა სახის ელექტრონული კომუნიკაცია. აღნიშნული რეგულაციის შესრულებას არ გამოუწვევია რაიმე სახის სირთულე CSO-ებისთვის (USAID, 2017).

CSO-ების საქმიანობის რეგულირება ხდება ორი ძირითადი კანონით – კანონი „ასოციაციებისა და ფონდების შესახებ“ და კანონი „საზოგადოებრივი სარგებლის შესახებ“. 2016 წელს, „ასოციაციებისა და ფონდების შესახებ“ კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელთა მიზანია აღკვეთოს CSO-ების ფორმირება საზოგადოებაში კონფლიქტის ან არასტაბილურობის წახალისების მიზნით. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, სახელმწიფო შემოსავლების სამსახურს აქვს უფლება გამოითხოვოს დეტალური ფინანსური ანგარიშები, თუ ორგანიზაცია ხელს უწყობს არასტაბილურობას, რადიკალიზაციას ან კონფლიქტს საზოგადოებაში. გარდა ამისა, ლატვიის უშიშროების პოლიციას ახლა შეუძლია მოითხოვოს ორგანიზაციის საბანკო ანგარიშების გაყინვა, თუ მას აქვს ეჭვი, რომ ორგანიზაცია აპირებს არაკონსტიტუციურ ინიციატივებში ჩართვას. CSO-ები აქტიურად ჩაერთვნენ ცვლილებების განხილვის პროცესში, რათა არ დაეშვათ რეგულაციების მიერ სიტყვის თავისუფლების, გაერთიანების უფლებისა

და შეკრების თავისუფლების შეზღუდვა (USAID, 2017). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეგულაციაა კანონი მოხალისეობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წელს. კანონი არეგულირებს ურთიერთობას მოხალისეებსა და დამსაქმებელ ორგანიზაციებს, მათ შორის, CSO-ებს, სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებს შორის.

CSO-ებს აქვთ პირდაპირი კომუნიკაცია პოლიტიკის შემქმნელებთან და ადვოკატირებისა და ლობირების პროცედურები უაღრესად განვითარებულია. თითოეული სამინისტროს ქვეშ ფუნქციონირებს საკონსულტაციო საბჭო; საპარლამენტო კომისიები იწვევენ CSO-ს წარმომადგენლებს თავიანთ შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად. თუმცა, CSO-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გაიზარდა შემთხვევების რიცხვი, როცა CSO-ები არ იყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ამას კი მოჰყვება პროტესტი მას შემდეგ, რაც უკვე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (USAID, 2017).

ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გავლენა რეგიონულ პოლიტიკაზე უფრო შეზღუდულია ლატვიაში. არსებობს თანამშრომლობის სამი პლატფორმა: რეგიონული განვითარების ეროვნული საბჭო, გეგმარებითი რეგიონის განვითარების საბჭო და გეგმარებითი რეგიონის თანამშრომლობის კომიტეტი. სამივე მათგანში შედიან მხოლოდ სამინისტროების წარმომადგენლები, ე.წ. დაგეგმარების რეგიონული წარმომადგენლები და ადგილობრივი მთავრობის წევრები, მაგრამ არა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სამოქალაქო საზოგადოების მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი ცვლილების მაგალითია მცირე ბიზნესების გადასახადების ზრდიასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტის წინააღმდეგ გამოსვლა. CSO-ებმა მოახერხეს პარლამენტის წინ მოსახლეობის დიდი რაოდენობის მობილიზება. საბოლოოდ, მთავრობამ გააუქმა თავისი ინიციატივა 2016 წლის დეკემბერში (USAID, 2017)

## რეკომენდაციები

### LAG-ებისთვის

- საქართველოში მიმდინარეობს LAG-ების ქსელის ფორმირება. ჩვენს მიერ შესწავლილ სამივე ქვეყანაში, აღნიშნული ქსელი გადამწყვეტ როლს თამაშობს, რადგან მას აქვს პოტენციური იქცეს ქვეყნის მასშტაბით მძლავრ CSO-დ და ჰქონდეს პირდაპირი კომუნიკაცია მთავრობასთან.
- LAG-ების ეროვნული ქსელის ფარგლებში, მნიშვნელოვანია შეიქმნას პლათფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს LAG-ების ერთმანეთთან თანამშრომლობას, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ეს შესაძლებელია მიღწეულ იქნას სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით, როგორც ვებგვერდი ან ყოვეკვირეული ონლაინ/სკაიპ ჩართვები.
- ქსელმა უნდა დაიქირაოს გამოცდილი კოორდინატორი/ლობისტი, სასურველია ისეთი, რომელსაც აქვს მთავრობასთან პირდაპირი კომუნიკაციის გამოცდილება.
- მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების გათვალისწინება რეგიონული განვითარების დაგეგმვის ოფიციალურ პროცესში. ეს უნდა იქნას ნათლად გაწერილი კანონმდებლობაში. სადემონსტრაციო პრეზენტაციები LDS-ის მნიშვნელობისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ უნდა წარედგინოს შესაბამის სამინისტროებს.
- საერთაშორისო გამოცდილება ასევე გვაჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების აქტიური ჩართულობა. მუნიციპალიტეტების მონაწილეობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი მთავრობის მიერ.
- სასარგებლო იქნებოდა LAG-ების მიერ დაფინანსებული პროექტების ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის შექმნა. ეს იქნებოდა LAG-ების საქმიანობის ლობირებისთვის და მათი ცნობადობის ამაღლებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ეს ასევე შესაძლებელს გახდიდა მაკრო-დონეზე ანალიზის ჩატარებას, რასაც მოჰყვებოდა მოდიფიკაციები საქართველოს კონტექსტში.
- ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით, არის ადგილობრივი ელიტების მიერ ძალაუფლების მონოპოლიზების რისკი. ასეთი რისკები თავიდანვე უნდა იქნას გამორიცხული საქართველოში და ზომები უნდა იქნას მიღებული ადგილობრივ მოსახლეობაში ამგვარი ექვების გაქარწყლების მიზნით.

### CSO სექტორისთვის

- სამივე ქვეყნის გამოცდილებამ აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია CSO-ებისთვის ეროვნულ დონეზე პლათფორმის არსებობა, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა დაემყარებინათ ეფექტური კომუნიკაცია მთავრობასთან, ჩართულიყვნენ პოლიტიკის ფორმირების პროცესებში (მათ შორის, რეგიონული პოლიტიკის) და გაეწიათ აქტალური საკითხების ლობირება.
- უსაფრთხოების მექანიზმის სახით, საქართველოს მთავრობას შეუძლია განიხილოს კანონში ცვლილებების შეტანა, რომლებიც გაზრდის სამოქალაქო საზოგადოების სექტორის გამჭვირვალობას. ეს შესაძლებელია მიღწეულ იქნას ორი მეთოდით. პირველი - CSO-ების რეესტრი, სადაც ხელმისაწვდომი იქნება დებულებები და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. მეორე - მთავრობას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა

მარტივად გამოითხოვოს ფინანსური ინფორმაცია, თუკი ორგანიზაცია ანონიმური წყაროებიდან მიღებული სახსრებით აღვივებს არასტაბილურობას, კონფლიქტსა და რადიკალიზაციას საზოგადოებაში. ეს ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როცა CSO-ები იღებენ დაფინანსებას ქვეყნიდან, რომლებთანაც საქართველოს აქვს საომარი მდგომარეობა.

- ავსტრიის გამოცდილება მოხალისეობისა და სამოქალაქო მონაწილეობის კარგი მაგალითია. ამ მიმართულებით, შესაძლებელია საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.
- აუცილებელია, რომ თითოეული სამინისტროსთვის სავალდებულო გახდეს საკონსულტაციო პლატფორმის შექმნა, რომელშიც ჩართული იქნებიან შესაბამისი CSO-ები. ზოგიერთი სამინისტრო უკვე იყენებს მსგავს მექანიზმს, თუმცა აღნიშნული მიდგომა ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გავრცელებული ქვეყანაში.

# დანართი 1: სახელმძღვანელო კითხვები სკაიპ ინტერვიუსთვის

## LAG-ის შესახებ (LAG -ის წევრებისთვის)

- LAG -ის საქმიანობის მოკლე აღწერა
- LAG -ის ფუნქციები;
- LAG -ების, როგორც ადგილობრივი და რეგიონული განვითარების აქტორების როლი;
- რა გაკვეთილი იქნა შესწავლილი გამოცდილებიდან (საქართველოს გამოცდილება არ აქვს ამ მიმართულებით და ამგვარი მოსაზრებები შესაძლოა სასარგებლო იყოს);
- კიდევ რისი რჩევა არის შესაძლებელი LAG -ებისთვის და ქვეყნისთვის, რომელსაც არ აქვს გამოცდილება LEADER მიდგომის კუთხით.

## LEADER პროგრამების შეფასება

- როგორ მოხდა LEADER მიდგომის დანერგვა?
- როდის დაიწყო იგი? (2000?) ევროკავშირის წევრობამდე, როგორ ეწეოდნენ LAG -ები თავიანთ საქმიანობას?
- რამდენი საპილოტე LAG -ი შეიქმნა? რამდენი LAG -ია ამჟამად?
- საწყის ეტაპზე, როგორი იყო საზოგადოების დამოკიდებულება LEADER მიდგომის მიმართ და როგორ შეიცვალა იგი დროთა განმავლობაში?
- როგორ მოიპოვა მან პოპულარობა?
- ჯამში, LEADER პროექტების რამდენი ტალღა განხორციელდა და რა განსხვავებები იყო მათ შორის?
- LEADER მიდგომის დანერგვის შემდეგ, რა ცვლილებები განხორციელდა LAG -ების სტრუქტურაში?

## ზოგადი ინფორმაცია

- რამდენი LAG-ია ქვეყანაში?
- როგორია ტერიტორიული დაფარვა? მოცულია თუ არა მთლიანი ტერიტორია?
- რა არის LAG -ის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები?
- არის თუ არა ინფორმირებული საზოგადოება LAG -ის საქმიანობის შესახებ? რა პროცენტული წილი?
- როგორია ჩართულობის დონე?
- წლიურად, რამდენი პროექტის დაფინანსება და განხორციელება ხდება? თუ არის ხელმისაწვდომი მონაცემები პროექტების შესახებ?
- თუ შეგიძლიათ აღწეროთ LAG -ის სტრუქტურა? ვინ არიან წევრები და როგორ მოხდა მათი შერჩევა? ვინ არის ჩართული? თუ არსებობს შეზღუდვები, ვინ შეიძლება/არ შეიძლება იყოს LAG -ის წევრი?
- ჰყავთ თუ არა LAG-ებს მუდმივი პერსონალი? უმთავრესად დამოკიდებულია მოხალისეობაზე?

- რა ზომები არის ან შესაძლებელია იქნას მიღებული მდგრადობის უზრუნველსაყოფად?

### **დაფინანსება**

- რა არის დაფინანსების წყაროები?
- რა თანხის გამოყოფა ხდება ყოველწლიურად თითოეული წყაროდან?
- როგორ ხდება ამ თანხების დახარჯვა პროექტებზე?
- რა ტიპის პროექტების დაფინანსება ხდება? (პრიორიტეტები)

### **სამართლებრივი გარემო**

- აქვთ თუ არა LAG-ებს რაიმე იურიდიული სტატუსი?
- რა კანონებით ხდება მათი საქმიანობის რეგულირება?
- ინტეგრირებულია თუ არა LDS ოფიციალურ დოკუმენტებში?
- რა როლს ასრულებს LAG-ების მიერ მომზადებულ LDS-ი ადგილობრივ განვითარებაში?

### **კომუნიკაციის არხები**

- რა კომუნიკაციის არხები გამოიყენება შემდეგ მხარეებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის:
- ადგილობრივი ბიზნესი
- ადგილობრივი CSO-ები
- ადგილობრივი მთავრობები
- ცენტრალური მთავრობა
- ევროკავშირი

### **ქსელი**

- არსებობს თუ არა LAG -ების ეროვნული ქსელი? როგორ მოხდა მისი ფორმირება? რას საქმიანობს იგი? რა სარგებელი მოაქვს ცალკეული LAG -ებისთვის?
- გვიამბეთ ELARD-ის შესახებ, როგორია მისი საქმიანობის პრინციპი?

## დანართი 2: ინტერვიუების სია

ანიტა სელიჩკა, ლატვიის სასოფლო ფორუმის აღმასრულებელი დირექტორი

დაიგა კრუმინა, LAG ადმინისტრაციული მენეჯერი ლატვიაში

ევა ჰაბერკორნ-ვიმბა, LAG მენეჯერი და ლატვიის LAG-ების ქსელი მთავარი პარტნიორი

გიორგი სანტურიანი, PiN, პროგრამის მენეჯერი

გუსტა ჩარუზეკი, სრალოვსკა სტეზკა-ს LAG-ის მენეჯერი ჩეხეთის რესპუბლიკაში

მარკ ბარეტი, ექსპერტი ევროკავშირის რეგიონულ პოლიტიკაში

სალომე ბაკაშვილი, PiN, ყაზბეგის LAG-ის პროგრამის მენეჯერი

სტეფან ნიდერმოსერი, LAG მენეჯერი ავსტრიაში, Regionalmanagement Regio

ზანე გუსტა, LAG საერთაშორისო პროექტების მენეჯერი ლატვიაში

## დახართი 3: წყაროები

Austrian Conference on Special Planning (OEROK) (2011)

[https://www.oerok.gv.at/fileadmin/Bilder/2.Reiter-Raum u. Region/1.OEREK/OEREK\\_2011/Dokumente\\_OEREK\\_2011/OEREK\\_2011\\_EN\\_Downloadversion.pdf](https://www.oerok.gv.at/fileadmin/Bilder/2.Reiter-Raum_u_Region/1.OEREK/OEREK_2011/Dokumente_OEREK_2011/OEREK_2011_EN_Downloadversion.pdf)

Buller H. (2000) Re-creating Rural Territories: LEADER in France. *Sociologia Ruralis*, Volume 40, Issue 4, pp. 190-199.

Dax, T., Strahl, W., Kirwan, J., & Maye, D. (2016). The Leader programme 2007–2013: Enabling or disabling social innovation and neo-endogenous development? Insights from Austria and Ireland. *European Urban and Regional Studies*, 23(1), 56-68.

EU publications. (2012). The map of 2,301 Leader Local Action Groups co-funded by the European Agricultural Fund for Rural Development under the 2007-2013 Rural Development Programme, available at <https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/d186a784-30e6-43ed-baa6-30ca4f3ba5b8/language-en> (accessed on May 7, 2018).

EU. (undated). Chapter VII. Guidelines on Stakeholder Consultation in Better regulation: guidelines and toolbox, available at <https://ec.europa.eu/info/sites/info/files/better-regulation-guidelines-stakeholder-consultation.pdf>

Federal Ministry for Sustainability and Tourism (2018) available at <https://www.bmnt.gv.at/english/agriculture/Regional-Policy/Regional-policy---General-information---responsibilities.html>

Frič, P., Goulli, R., & Vyskočilová, O. (2004). Small Development Within the Bureaucracy Interests: The Nonprofit Sector in the Czech Republic. In *Future of Civil Society* (pp. 601-633). VS Verlag für Sozialwissenschaften, Wiesbaden.

Koht, H. S., & Reinholde, I. (2016). From Central Control to Local Initiative: Regional Development in Latvia and Norway. *Viesoji Politika ir Administravimas*, 15(2).

Krieviņa, A., Leimane, I., & Melece, L. (2015). Role of local action groups in addressing regional development and social problems in Latvia. In *Annual 21st International Scientific Conference: "Research for Rural Development"* Volume 2, Jelgava, Latvia, 13-15 May 2015 (pp. 146-153). Latvia University of Agriculture.

Latvia (2013). *Reģionālās politikas pamatnostādnes 2013.-2019.gadam* [White paper on regional development 2013-2019]. Approved by the cabinet of Ministers October 29

Ministry for Regional Development of the Czech Republic. (2006) *Regional Development Strategy of the Czech Republic*

Navratil, J., & Pejcal, J. (2017) Chapter 3.1 Czech Republic in *Civil Society in Central and Eastern Europe: Challenges and Opportunities*. (pp 43-57) ERSTE Stiftung Studies, Vienna



Nemes, G. (2005). The politics of rural development in Europe (No. MT-DP-2005/5). IEHAS Discussion Papers.

Neumayr, M., Meyer, M., Pospíšil, M., Schneider, U., & Malý, I. (2009). The role of civil society organisations in different nonprofit regimes: Evidence from Austria and the Czech Republic. In *Civil society in comparative perspective* (pp. 167-196). Emerald Group Publishing Limited.

Neumayr, M., Pennerstorfer, A., Vandro, P., Meyer, M. (2017) Chapter 7: Country Report: Austria in *Civil Society in Central and Eastern Europe: Challenges and Opportunities*. (pp 282-297) ERSTE Stiftung Studies, Vienna

Niedermoser, S. (2017), PowerPoint presentation 'Association of LAGs in Austria' available at [http://nssmas.eu/wp-content/uploads/2017/06/asociacia\\_mas\\_v\\_rakusku\\_stefan\\_niedermoser.pdf](http://nssmas.eu/wp-content/uploads/2017/06/asociacia_mas_v_rakusku_stefan_niedermoser.pdf)

Salamon, L. M., Sokolowski, S. W. & Anheier, H. K. (2000) Social Origins of Civil Society: An Overview. Working Papers of the Johns Hopkins Comparative Nonprofit Sector Project. Baltimore, The Johns Hopkins Center for Civil Society Studies

Shortall, S. Shucksmith, M. (1998) Integrated Rural Development: Issues Arising from the Scottish Experience *European Planning Studies* Vol 6 (1)

USAID (2017). 2016 Civil Society Organization (CSO) Sustainability Index for Central and Eastern Europe and Eurasia